ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციასა

და

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
ა(ა)იპ საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციასა
და
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შორის

ქ. გორი 12 **აპრილი, 2019 წელი**

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **პოლკოვნიკი მამია ბალახაძის** სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია (შემდგომში - ასოციაცია) წარმოდგენილი მისი ვიცე პრეზიდენტის **ზურაბ ფიფიას** სახით, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას, ერთობლივი ღონისძიებებით ხელი შევუწყოთ კიდურებ ამპუტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სპორტის მეშვეობით რეაბილიტაციას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, რისთვისაც ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზნები
მემორანდუმის მიზნებია:
1.1. წინამდებარე მემორანდუმით დადგენილი წესით, კიდურებ ამპუტირებული შშმ პირების სპორტის მეშვეობით ჯანსაღი ცხოვრებით დაკავება, მათი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაცია.
1.2. ასოციაციის საქმიანობის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია აკადემიის კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი
მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად მხარეთა თანამშრომლობის პრინციპების, ფორმებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

მუხლი 3. თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები
3.1. მხარეებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს.
3.2. მხარეების თანამშრომლობა მოიცავს:
3.2.1. კიდურებ ამპუტირებული შშმ პირებისათვის (მათ შორის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის) სპორტული ღონისძიებების მოწყობის მიზნით ერთობლივ ქმედებებს;

3.2.2. საზოგადოების ინფორმირების მიზნით ერთობლივი პრეზენტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების გამართვას;
3.2.3. მხარეთა შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის/ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგსა და კოორდინაციას;
3.2.4. მხარეთა შორის თანამშრომლობა ხორციელდება კონსულტაციების, დისკუსიების, შეხვედრების გზით და ინფორმაციის გაზიარებით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ასოციაცია იღებს ვალდებულებას:

4.1.1. შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს კიდურებ ამპუტირებული შშმ პირების მხარდაჭერა და მათთვის სპორტული ღონისძიებების მოწყობისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება და აღნიშნულზე აკადემიის ინფორმირება;
4.1.2. ერთობლივ ღონისძიებებში ბეჭდური (ფლაერი, ბუკლეტი, პლაკატი, შტენდერი) და ვიდეო/აუდიო მასალის გამოყენებისას უზრუნველყოს აკადემიის სიმბოლიკის (ლოგო) წარმოჩენა;
4.1.3. ამ მემორანდუმის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში ხელი შეუწყოს აკადემიას.

4.2. აკადემია იღებს ვალდებულებას:

4.2.1. შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს ასოციაციას შშმ პირების მხარდამჭერი (მათ შორის სპორტული) ღონისძიებების განხორციელებაში;
4.2.2. ერთობლივ ღონისძიებებში ბეჭდური (ფლაერი, ბუკლეტი, პლაკატი, შტენდერი) და ვიდეო/აუდიო მასალის გამოყენებისას უზრუნველყოს ასოციაციის სიმბოლიკის (ლოგო) წარმოჩენა;
4.2.3. ამ მემორანდუმის მიზნით გათვალისწინებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებაში ხელი შეუწყოს ასოციაციას.

მუხლი 5. ფორსმაჟორი

5.1. წინამდებარე მემორანდუმის დამდები რომელიმე მხარის მიერ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და სამუშაოს არასრულად შესრულება არ განიხილება მემორანდუმის პირობების დარღვევად, თუ მემორანდუმის შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
5.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ.

მუხლი 6. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7. სხვა დებულებანი

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია მემორანდუმის ვადის გაგრძელება.

7.2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

ა(ა)იპ საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ზურაბ ფიფია	პოლკოვნიკი შამია ბალიანაძე